კვირა, 16 ოქტომბერი 1916 წ.

რედაქციის ადრესი:
თფილისი, ოლღას ქუჩა, № 6.

ფასი 15 კაპ.

ეშმაკი-მათრახი

იუმორისტ. ჟურნალი

№ 42

კუპრინის ლექცია



— ხალხი! ჯანაბას ხალხი... ხალხი სულელია...

რედაქციისაგან

„ეშმაკის მათრახის“ მომავალ № 43 დაიბეჭდება დასურათებული ზღაპარი

ლ. პტისა

ვირეები

რედაქცია აცხადებს, რომ ზღაპარი ნათარგმნია და ამიტომ თავს ნურავინ გამოიდებს. ყველას გულდამშვიდებით შეუძლია მისი წაკითხვა.

სასურსათო საკითხი

ვინ მოიფიქრებდა, თუ უდიდესი ეკონომიური და პოლიტიკური კითხვები, საერთაშორისო და ეროვნული პრობლემები ისეთ მდაბიო საკითხათ ეახურდავდებოდენ, როგორიც არის სურსათ-სანოვაგის საკითხი. ვიღას ახსოვს საერთაშორისო ომი, მისი მიზეზები და მოსალოდნელი შედეგები; ვიღას აინტერესებს სრუტეები და მათი ნეიტრალიზაცია, დიპლომატების ოინბაზობა და სტრატეგების საქმიანობა; ვიღას სცალია დღეს დასტკბეს ინტერნაციონალის დასამარებით და ნაციონალიზმის გამარჯვებით;—ოდეს მთელი განათლებული და გაუნათლებელი კაცობრიობის გონება, აზრი და გრძნობა ეიუცავს ერთათ-ერთ საკითხს, რომელიც, მიუხედავათ ამისა, ამოდ ელის თავის გადაწყვეტას: ეს გახლავთ სასურსათო საკითხი.

ჩვენც იმდენათ საყურადღებოთ მიგვაჩნია იგი, რომ საჭიროთ ვთვლით გამოვთქვათ ჩვენი აზრი.

საკვირველი ის კი არ არის, რომ კუპის საკითხი ასე აშფოთებს ყველას: ბავშვიც კი ტირის, როცა შიან

საკვირველი და გაუგებარი ის არის, რომ რაც უფრო მხნეთ, დაუღალავათ, დაჟინებით და თავგამოდებით შესდგომიან ამ კითხვას, მით უფრო მწვავე ხასიათს ღებულობს იგი, იწეწება, იხლართება და ბურუსით იფარება; რაც უფრო სადღეისოთ დგება ეს კითხვა, მით უფრო სამერმისოდ იდება იგი; რაც უფრო მეტი მომხრე უჩდება მას მით უფრო უნიადაგო, უტოპიური ხდება.

მწვავე საკითხია, ძნელი საკითხია—ვინ ამბობს წინააღმდეგს! მაგრამ ისიც ეჰვს გარეშეა, რომ რაც უფრო ძნელია საკითხი, მით უფრო ადვილია მისი გადაწყვეტა. ალექსანდრე მაკედონელს გორდიას კვანძი უნდა გეხსნა; ალბათ ძალიან დახლართული იყო, რომ მთელი ქვეყანა მისდგომოდა და ვერა ხსნიდა. მაკედონელმა დაჰკრა ხმალი და კვანძი გადასჭრა. რა მოხდა? მან უეცველათ გახსნა კვანძი, თუმცა, რასაკვირველია, არა ისე, როგორც მთელი ქვეყანა ფიქრობდა მეორე მაგალითიც ყველას მოეხსენება: კვერცხი ვერავინ გააჩერა მიუყუდებლათ. ქრისტეფორე კოლუმბმა ბოლო დაუჩეჩქვა და კვერცხი გაჩერდა. ამანაც გადასჭრა კითხვა, თუმცა არა ისე, როგორც მთელი ქვეყანა ფიქრობდა.

კოლუმბი დიდი კაცი იყო, მან ამერიკა აღმოაჩინა. მაგრამ მის აღმოჩენილ ქვეყანაში დღეს მილიონობით მიდის ხალხი და გზა არავის ეშლება. ვითომ რა იქნება, რომ ამ საკითხშიაც კოლუმბს მივბაძოთ და სადაც რთული აზროვნება ვერას აწყობს, სადათ და მოკლეთ დავჩეჩქოთ წყეული კითხვა.

ან კი რა არის აქ თავ-სამტვრევი? არ არის საჭირო საქონელი? მოვიტანოთ. ძვირია და ხელმიუწდომელი? გავაიაფოთ. გადამალულია? გავჩხრიკოთ და აღმოვაჩინოთ. არ ელევიან? სულაც ჩამოვართვათ.

ყველა ამას ერთ დემაგოგიურ მოსაზრებასაც დაუმატებთ. მარტო სირცხვილია, სხვა არა იყოსრა, რომ მეოცე საუკუნეში ხალხი შიმშილით წყდებოდეს მხოლოთ იმიტომ, რომ კითხვა ვერ მოუწეს რიგებია, სურსათი ვერ გაუნაწილებია.

ჩვენ კარგათ ვიცით, რომ ჩვენსას არავინ დაიჯერებს,

კიდევ მრავალი ცირკულიარი გამოქვეყნდება, თათბირები და სიეზდები გაიმართება, რეზოლიუციები შემუშავდება, მეთაურები დაიწერება, — ყველაფერი ეს ჩვენ ზომაზე მეტი გეახელით,

ფოცხვერი.

პატარა ფელეტონი

„ავტოკეფალიის აზრის გასატანად ფართო საზოგადოებაში აკაკი სავთხოვე მოხდენილი ლექსის, ან სახალხო პოემის დაწერა“... „სიკვდილმა აღარ აცალა მას კეთილი განზრახვის შესრულება.

იქნება ამ აზრის განხორციელება თანამედროვე რომელიმე ნიჭიერი მგოსნის მიერ არც ახლა იყოს მეტი და უმნიშვნელო“.

(„სახ. ფურც.“ 684).

გულმოდგინეთ წაკითხული იქმნა

მგოსნებიც

შეიარაღდენ. „ნიჭიერი“ რას მიქვია, როცა სამშობლო განსაცდელშია? საზოგადო ასპარეზზე ყველას თავისუფალი გზა უნდა მიეცეს.

აი, მაგალითად, პატივცემული **გიორგი გვაზავა** რამდენი ხანია არ სად სჩანდა პოეზიის ცათა კაბადონზე, ახლა კი, როცა ქართული ეკლესიის საკითხი ამას უცილობლათ მოითხოვს, მგოსანმა მოიმარჯვა კალამი და დასწერა:

„საშვილიშვილო პოემის
დაჯდა დღეს წერად გვაზავა,
საერო საკლესიოს
მან მოხდენილად აზავა*)
ინტერესები ორ ერთა
მან ერთმანეთსა აზავა**)
და მარგალიტი სიტყვები
ჩვეულ საუხვით აზავა***).

ყოლად სამღვდელო ლეონიდეს რომ ვკითხოთ, ავტოკეფალიის აზრის ფართე საზოგადოებაში გატანა, მხოლოდ ნიჭიერი მგოსნების საქმეა და თუ მას დაუჯერეთ აი ასეთ მოხდენილ დასაწყისს, როგორიც ზემო აღნიშნული კუპლეტია, გზა ეხშობა. მე დარწმუნებული ვარ ამ გარემოებას არ მიაქცევენ ყურადღებას ქართველი მორწმუნენი, როგორც არ მიაქცია ყურადღება უკვე მივიწყებულმა მგოსანმა **სევასტიმ**.

ავტოკეფალიის ინტერესი ყველა ქართველს ერთნაირად უნდა ასულდგმულებდეს, თორემ უსამართლობა იქნება მარტო პეტრე მირიანაშვილს მოვახვიოთ თავს იმისთვის ზრუნვა. მე ეჭვი მებადება ბ-ნ მირიანაშვილს კერძო, პირადი, ინტერესი

მგოსანი ქალი **ნ. არაბულისა** კეთილ მორწმუნეობით ცნობილია, და თავის უთვალავ ლექსთა ფუძეთ მხოლოდ ეკლესია აქვს დადებული. ამიტომ არც გასაკვირია, თუ დღეს ავტოკეფალიის საკითხმა კვალად დაუბრუნა იგი მივიწყებულ სფეროს პოეზიასა.

„სად ამდენი ციხე-კოშკი
და ნანგრევი საყდრია,
აქ ქართული წირვა-ლოცვა
უკვე ადარსად არის.
ჩვენი ეკლესიის საქმე
დედა-ღვთისას ანარია,
რას გვერჩიან ნეტავ ერთი,
ეს ხალხი რამ გადარია“.

და განა მარტო ქ. ნ. არაბულისა გამოეხმაურა

კეთილ სურ-

*) აზავა — შეუზავა, შეუფერა.

**) აზავა — აქ წარმოსდგება სიტყვა ზავისა ან, ე. ი. მოარიგა.

***) აზავა — ამ შემთხვევაში წარმოსდგება დ-ზავებისაგან, ე. ი. უხვად დაფრქვევისაგან.

ილს?! ბევრს მკვდარიც ეგონა მგოსანი **ნიკო ბრეგვაშვილი**, მაგრამ არა... წაიკითხა თუ არა მცხოვანმა მოწოდება, მყისვე აღფრთოვანდა და დასწერა:

არ მომკვდარა,
არა, არა...
ჩემში ტრფობა
ეკლესიის...
მიყვარს, მიყვარს, მიყვარს იგი...
არ მომკვდარა,
არა, არა...
დმერთის რწმენა
და მესიის"...

შეიძლება ეგ ლექსი მცხოვანი მგოსნისა შინაარსით მაინცა და მაინც დიდი რამ არ იყოს, მაგრამ ყველა თქვენთაგანი დამერწმუნება და ამ საკითხში თვით ყოვლად სამღვდელო ლეონიდეც შეუთანხმდება ბ-ნ მირიანიშვილს, რომ სტრიქონები ერთობ ორიგინალურათაა დაწყობილი.

ერთმა რომლის ვინაობა, თანახმად მისი სურვილისა, ჯერ ჯერობით საიდუმლოთ, (ანუ მისივე ქართულით რომ ვსთქვათ „ინკოკინტოთ") უნდა დარჩეს, საკითხს პირდაპირ შეხედა თვალებში და ცოცხალი სურათი დაგვიხატა:

„ეგელა თეგზზე უკეთესი
კალმახი და კეფალია,

როგორც გადმომცეს ამ ლექსს უკვე ამღერებს ვიტარაზე მთელი დასავლეთ საქართველოს ყმაწვილ ქალობა და ღირსიც არის თქვენ თავსა ვფიცავ.

მგოსანმა **ვ. ღვანკითელმა** ჩვეულებრივი თანაგრძნობით შეხედა მღვდელმთავრის მოწოდებას და უკვე ამოიწერა „ავტოკეფალია"-ს მისაგუებელი რითმები, აი ისინი:

ალია, წყალია,
ნალია, ბალია,
ფხალია, ხმალია,
გალია, დალია,
ქალია, ძალია,
ვალია, ოვალია,
სალია, ხირხიმალია,
ჩალია, დარდანელია,
ბნელია და სხვ.

ჯერ ძნელი სათქმელია თუ რას გამოიყვანს აქედან ჩვენი პატივცემული მგოსანი, მაგრამ რომ გამოიყვანს რაღაცას, „აკაკისებურს" ეგ უეჭველია.

ერთი სიტყვით გამოძახილი ერთსულოვანია. არ დარჩენილა მგოსანი ამ საპირ-ბოროტო საკითხზე ლექსი არ შეეთხზას, მაგრამ ყველას ერთად ხომ ვერ „გამოვიტანთ ფართე მასაში".

დანარჩენზე შემდეგ.

მორიელი.

* * *

დიდი ხანია „საქვეყნო"
საქმეს არ ვემსახურები,
მოვწყდი საერთო მძივისგან,—
მარტო ღა ვეპანტურები.
ვინ რა ქნა, მე რას ვიზამდი,
რომ მითხრან საყვედურები.
თუ დამიჯერებთ, თქვენს ნაკლებ
ჩემს თავს მეც არ ვემდურები.
ერთგვარათ გვიჩანს სუყველას
ცხოვრების საფეხურები:
მე შენ ვარ, შენ—მე, ჩვენ იგი,—
ქვეყნის ერთგვარი მდგურები.
ერთით ვარ გამონათიში,—
დავდივარ გულ-ამღვრეული.
ეჭვით ვუცქერი ყოველსა,
აწმყოა, თუ ადრეული.
ვპოვე სიამე მითი, რომ
ვილტვი მე აგრე ეული,
მეგობრის ყოლას დიდი ხნით
მე უკვე გადაჩვეული.
არც გამაჩნია ქონება
სათქმელი რამ ნივთეული.
(ნურც მქონდეს, არც შემრგებია
ნაბოძი კურცხალ ნთხეული).
ჩემი სიმდიდრე რაცაა,
ჯერ კიდევ არ დალეული,
რა რიგ ასწიო ფასებში
სავაჭროდ გამოთრეული,

ექვს აბაზს არ ასცილდება,
ის ვერცხლის ფასად ქცეული.
აქ ჩამოგითვლი, ქვემორე,
რაცაა, რა ერთეული:
მაქვს ქუდი გახუნებული,
მე თავზე გადათხლეული,
ტოტ წაგლეჯილი შარვალი,
ორ ალაგს გამოხეული.
წელ ზევით,
ბლუზას ქვეშ, რამ თეთრეული,
(პერანგს ეტყვიან სახელად
მდიდრები, ოჯახ ნგრეული).
ტყავ გაფხეკილი მაზარა,
კისერზე ჩამობნეული,
შემომძარცვია გარემო,—
(ბოდიში თქვენთან) სხეული.
ვზივარ მარტოკა ოთახში,
ვითარცა გამომწყვდეული, –
გადაგლეჯილი მიდგია
მაგიდა ფეხ-მონგრეული;
მჭადი ხმელი მაქვს საუმელად,
კბილები გადალეული,
თვალებს მიბნელებს ღამ-ღამე
წინ გადაშლილი რვეული
და გულს მიწყალავს სიბერე
(როგორ ვთქვა, მარა) წყეული.

ა. ბლიკვაძე.

სარედაქციო კალათა

(ღრმა მეცნიერული წერილი)

ვაფრთხილებ მკითხველ საზოგადოებას და მით უმეტეს კრიტიკოსებს, რომ ეს ჩემი მეცნიერული წერილი არ არის დაწერილი რაიმე ჯილდოს მისაღებათ, არც სასტიპენდიო მიზნით. ვერც გავბედავდი რაიმეს დაწერას ზემოხსენებულ მიზნისათვის, რადგან კარგადა მაქვს გათვალისწინებული, რომ ჯილდოს მიღებისათვის უფრო „მარჯვენა“ ხასიათის ჰანგებზეა საუბარი საჭირო, მე კი საუბედუროთ (თუ უფრო საბედნიეროთ) არ მეხერხება ეს. მე მინდა ამ წერილში ვაცნობო ყოველ პატიოსანს, თუ რა არის „სარედაქციო კალათა“, მისი ისტორია და მომავალი. ვინაიდან ყოველი ცოცხალი ქართველი მწერლად სთვლის თავის თავს, ამიტომ მე ვამჯობინე საყოველთაოდ გამოვაქვეყნო ჩემი მეცნიერული წერილი.

მაშ დავიწყოთ.

I. კ ა ლ ა თ ა.

კალათს საერთოდ ჩვენში უწოდებენ წნელით ან ჭილით მოქსოვილ ჭურჭელს. კალათა კალათაა! მორჩა და გათავდა!.. მხოლოდ თუ რა არის „სარედაქციო კალათა“, ამაზე უფრო ვრცლათ არის საჭირო მსჯელობა.

„სარედაქციო კალათა“ წნელის მაგივრად რკინისაგან არის გაკეთებული და მისი დამტვრევა ყოველად შეუძლებელია. იგი მოთავსებულია პერიოდულ გამოცემის რედაქტორის მაგიდის მარცხენა გვერდით და რკინითვეა დამაგრებული იატაკზე. ვურჩევ ნურავინ მოინდომებს მის დამტვრევას და განადგურებას, რადგან კალათს შეუძლიან სრულიად უვნებლათ მოიგერიოს ყოველი გაცოფებული მგოსანის იერიში.

„სარედაქციო კალათა“ ძლიერ ცოდვილია. ამის შესახებ მქონდა ბაასი საქართველოში ჯოჯოხეთის მთავარ განყოფილების გამგე ბატონ ეშმაკთან და მან მითხრა, რომ ყოველი მიცვალებული „სარედაქციო კალათის“ სულს გზა ჯოჯოხეთისკენ აქვსო. სამოთხეში მისი შესვლა შეუძლებელიაო...

რამდენი მგოსანი ეატირა კალათის ულმობელმა ხასიათმა!.. ზოგიერთი კალმოსანი თვისი ნაწარმოების ბედის გადაწვეტას (კალათისაკენ გამგზავრებას) რედაქტორს აბრალებს. სიცრუეა!.. კალათს ისეთი მიმზიდველი ძალა აქვს, რომ რედაქტორს არც კი აცლის ნაწარმოების გადაკითხვას. ნაწარმოები კალათის გიპნოზის გავლენით თვითონ მიიწევს კალათისაკენ. კალათა დიდი გაუმაძღარი რამ არის. მას შეუძლიან საათში ხუთასაძდე დიდი ფორმატის ნაწარმოები შთანთქას. ვინ იცის რამდენი მგოსანი ნატრობს კალათის გაუქმებას, მაგრამ ეს შეუძლებელია. მთელი ქვეყანა დაემხობა და კალათა კი რედაქტორის მაგიდის გვერდით იქნება ამოფარებული. იგი დაზღვეულია ყოველი ხი-

ფათისაგან. შინაურ ცხოვრებაში კალათა მეტად გულკეთილია და რბილი ხასიათის პატრონი, მხოლოდ როცა იგი თავის მოვალეობას ასრულებს, ფოლადია, ფოლადი! ბევრჯერ შევმცდარვარ და გამიგზავნია ნაწარმოები რედაქციაში, რადგან დარწმუნებული ვყოფილვარ, რომ კალათა ისეთივე ხასიათზე იქნებოდა სამსახურში, როგორც შინაურ ცხოვრებაში მინახავს, მაგრამ როდესაც ჩემი პოეტური ნაწარმოები მის კლანჭებში დამინახავს, ნათლად დავრწმუნებულვარ ჩემი აზრის ამაოებაში.

II. კალათის ისტორია.

„სარედაქციო კალათს“ არ აქვს მაინცა და მაინც გრძელი ისტორია და არც არავის მიუქცევია მისთვის ძველ დროში ყურადღება, რადგან მაშინ მასში საჭიროება არ იყო. ჩვენში კალათები შემოიღეს მეცხრამეტე საუკუნეში, ესე იგი როცა იწყო მრავლება კალმოსნებმა. სტატისტიკური ცნობები იმის შესახებ, თუ რამდენი ნაწარმოები იმსხვერპლა ჩვენში კალათამ, არ არის სისწორით გარჩეული. ჩემი კოლეგა ისტორიკო-ფილოლოგიური კათედრის პროფესორი თბილისის უნივერსიტეტისა (რომლის დაარსებასაც ამ სამოდე საუკუნეში უსათუოდ მოველით) ამბობს, რომ იგი არ უნდა აღემატებოდეს თხუთმეტ მილიონს, მხოლოდ ქართულ კულტურის მოყვარულ საზოგადოების ერთ-ერთ კრებაზე მოკისმინე: მათი რიცხვი თორმეტი მილიონიაო. ჩემის გამოკვლევით ოც მილიონამდე უნდა იყოს. მე თუმცა მჯერა რომ ქართველ კულტურის მოყვარულ საზოგადოების ორატორები არ არიან ჩვეულნი სიცრუის გარდმოცემას და საერთოდ ზემხსენებულ საზოგადოებას პირნათლად მოჰყავს სისრულეში მიზანი*), მაგრამ ჩემს გამოკვლევას უფრო ფასსა ვსდებ. სად მე, სპეციალისტი ამ გამოკვლევაში, და სად კულტურის მოყვარული საზოგადოება, რომელსაც ამ საქმის გარდა სხვა საქმეებიც ბევრი აქვს გასაკეთებელი.**)

საერთოდ „სარედაქციო კალათის“ ისტორია უფერულია, რადგან მასთან შიშით ვერა მგოსანს ვერ აუტეხია აყალ-მაყალი. ვიმეორებ იგი დაზღვეულია ყოველი ხიფათისაგან, თუმცა გასაკვირია თუ როგორ გადაურჩა იგი ჩვენ მამულიშვილების ხმალ-ხანჯალს! აქ ჩვენ ისეთ ფსიხოლოგიურ განცდას ვხედავთ, რისიც აღსნა და განმარტება შეუძლებელია

III. კალათის ზემოქმედება.

მომავალში „სარედაქციო კალათზე“ დიდს იმედებს ვამყარებ, რადგან დადგება დრო, რომ მისკენ გაემგზავრება არა მარტო „მგოსანთა“ ნამოქმედარი, არამედ ჩვენი ქართველი საზოგადოების ზოგიერთი „მარჯვენა“ მიმართულების მთელი ნაშრომი, დიდათ დასაფასებელი იქნება მაშინ კალათა და იმედია მადლობელი საზოგადოება ღირსეულ პატივსა სცემს მას... ბევრჯერ უთქვამთ ჩემთვის, რომ კალათი მომავალში ვერ აუვა თავისი მოვალეობის ასრულებასაო, რადგან რაც დღე გადის უფრო და უფრო მატულობს ქართველ კალმოსანთა რიცხვიო. მართლა რომ დასაფიქრებელია ეს გარემოება... მაგრამ ღმერთი მოწყალეა... ცხოვრება თვით გვიჩვენებს გზას, თუ როგორ მოვიქცეთ ამ შემთხვევაში.

—

დაბოლოს მადლობას ვსწირავ ყველა იმ პირთ, სახელდობრ:

პროფესორს თბილისის უნივერსიტეტისა **არ-ყოფილ არიქნების-ძე** *როდის* **მოვესწრებით-უნივერსიტეტიშვილს, ქართულ კულტურის მოყვარულ საზოგადოებას,** რომელნიც დამეხმარენ ამ წერილის შედგენაში. და **ცენზორს,** რომელიც იმედია არ გამაწბილებს და ნებას დართავს ამ წერილის დაბეჭდისას.

წერილის შედგენის დროს ვხელმძღვანელობდი შემდეგი წყაროებით:

1) კ. ბ. კორკოტიშვილი—წნელი, ჭილი და მათი მოვლა-მოშენება.

2) პროფ. თავცარიელი—მგოსანთა საშიში სიმრავლე საქართველოში და ზომები, რომელნიც იყენენ მონდომებულნი ამ არა სასიამოვნო მოვლენის თავიდან ასაცდენათ.

3) ინჟ. ს. ი. კრუხი—რკინა, ფოლადი და მათი ქიმიური შემადგენლობა.

4) ი. ვ. დოყლაპიევი—წყლის ნაყვა, როგორც საუკეთესო საქმიანობა ზოგიერთ ქართულ საზოგადოებისა.

მეცნიერი **გუგული.**

---

*) წყლის ნაყვა.

**) წყლის ნაყვა.

პატარა „ვეფხის-ტყაოსანი“

ი უ მ ო რ ი ს ტ ი

ვითა კიტას საბჭოს ფული და გამოსცთის იმის ბნევა;
ვით ეხლანდელ „პოდრაჩიკებს“ ტყავის ძრობა, კუდის ქნევა,
მართ აგრეთვე იუმორისტთ ლექსთა გრძელთა თქმა და ხევა
და მწველ მწველი მათრახების აქეთ-იქით გადაქნევა.

არ უღალატოს ეშმაკსა, არ გაიტეხოს პირობა;
რა ველარ მიხვდეს საცინელს, დაუწყოს აზრმა ძვირობა,
ეძიოს ჩვენს ცხოვრებაში, არა ქმნას სიტყვათ მცირობა,
ხელ მარჯვედ სცემდეს მათრახსა, გამოიჩინოს გმირობა.

იუმორისტი არა ჰქვია თუ დაჯღაბნოს ერთი ორი,
თავი ყოლას ნუ ჰგონია: სერვანტეს და სვიფტის*) სწორი;
ან გალანძღოს გიმნაზიის, ან შავი ქვის დირექტორი;
შემდეგ კი დააპანჩურონ ამოსვარონ როგორც ღორი.

მეორე რიცხვი ცოტაა იუმორ მოშაირეთა,
არ ძალუძთ სიტყვა გასტყორცნონ მართ გულის გასაგმირეთა;
მე ასეთები ვამზგავსე ძაღლების მესაყვირეთა,
ტყეში ჰკივიან, არ ძალუძთ ხოცვა ნადირთა მცირეთა.

მესამე ძლიერ კარგია იუმორი საარშიყოთ,
ბანოვანთა კრებაში სადაც იყოთ, როგორც იყოთ.
ჩვენ მითაც გვიამების რაცა ოდენ იქიკქიკოთ;
იუმორისტი არ ჰქვია, ვინაც მალე გაირიყოთ.

იუმორისტს ასე უნდა: ბოროტებას უნდა ჰკბენდეს,
კბენა უჩნდეს სამიჯნუროდ, მისთვის ცეცხლსა მოიდებდეს.
ჩვენ სატირალ ცხოვრებითა გვალხენდეს და გვაცინებდეს;
ხელს ეჭიროს მას მათრახი, ზაქი მჭამლებს ცხვირში სცემდეს.

რიკოკო.

---

*) ცნობილი იუმორისტებია.

ყოველდღიური დრამა

(ვუძღვნი ძალათ-პოეტს)

„თუ რომ ოხერი აგიტყდეს მუზა,
მტკვრის პირად მიდი, გაიძრე ბლუზა;
სიცხე გექნება, ჩაყავი თავი,—
გაგიგრილდება ეგ სქელი ტყავი“.
(უცნობი ავტორი)

ენა ჩლუნგი,
კალამ წვერ წატეხილი;
გულ-დამჭკნარი,
გრძნობა გადატეხილი*)
ზის მგოსანი.
უცეცხლოთ ა—გზნებული,
შუბლ მხურვალე,
პირზე ალ მოდებული.
თავში უფრენს
აზრი ფრთა გაცვეთილი**),
ხელთ უპყრია
ჩანგი სიმ გაწყვეტილი...
წინ კი უზის
მუზა კოპლი, ფეხუცა,
მუცელ-ყვაპო
ვით პატარა დერგუცა***)
ფრთა დაჭრილი,
ტან დაბალი, ყვაპუზა,
ცხვირ წკიპურტა,
ყურ ნაცქვეტი, თმა-გრუზა.
მას არ ძალუძს
არც ცათ ფრენა, არც ცურვა,
არც სირბილი,
არც სიცილი, არც ურვა...
...და იმისი
თითო ფეხის გადადგმა
ბოლოვდება
აგორებით პირ-ალმა...

თფილისის ქალთა მესამე გიმნაზიაში

— შენ, თეკლე, მრეცხაობისათვის დღეში 1 მან. 50 კ. იღებ ჩემის ხარჯითურთ. ამგვარათ თვეში 45 მანეთი მოგიწევს და კიდევ მომატებას თხოულობ. კლასის დამრიგებელი ქალი ჩემს გიმნაზიაში თვიურად 40 მანეთს იღებს თავისი ხარჯით. ამრიგად ჩემთვის უფრო ხელსაყრელი იქნება შენ კლასის დამრიგებლის ადგილი მოგცე.

—

...და მგოსანს სურს
ჩანგი ააწკრიალოს,
ზედ სიმღერა
ნაზი დააწკრიალოს,****)
ისე ტკბილი,
მომხიბვლელი, საამო, —
ყველას მოსცხოს
გულის წყლულზე მალამო...
მაგრამ ჩანგზე
თითს ჩიმოჰკრავს თუ არა,
(თითქოს ყელზე
ძვალმა გადაუარა!)
გაისმება მარტოოდენ ხიხინი—
არც სიმღერა,
და არც გრძნობით ქვითინი...
ის უფრო გავს
მომაკვდავის ხრიალსა,
ან მანქანის
ყრუ რახრახს და ტრიალსა.

—

ხან მგოსანს სურს
ფრთა გაშალოს ფრთოსნურად,
ფიქრს მოახტეს,
გააჭენოს მგოსნურად:
ცის სივრცეში,
ვარსკვლავებთან აფრინოს,
გულს სიამე
ნეტარება აფრინოს...
...მაგრამ უმტრობს
ძალა ურჩი, უკმეხი,—
ძირს ვარდება
ორივ ფეხ მონატეხი...

პოდბიპენტა.

---

*) წინ და წინ ვგრძნობ, რომ ზოგიერთი მკითხველი ამ სიტყვების წაკითხვაზე უეცრად შეჩერდება და აღშფოთებით წამოიძახებს:—ფუ, ეს რაა! გრძნობის გადატეხა? აბა, როგორ შეიძლება გრძნობის გადატეხა?! ის უბრალო ჩხირი ან კალმის ტარი ხომ არ არის—აიღო და გადაამტვრიო!

მაგრამ. ბატონებო, ეს მოძველებული აზროვნებაა! ჩვენ, ერთ წუთსაც არ უნდა დავივიწყოთ, რომ ღღეს მეოცე საუკუნეა, საუკუნე სიმბოლიზმისა და ფუტურიზმისა, როცა ყველაფერია მოსალოდნელი და შესაძლებელი. და ნურავის გაუკვირდება, ჩემს ლექსში ასეთი გამოთქმების ხმარება. ეს პროგრესია!

**) აზრი ფრთა გაცვეთილი—ამ სიტყვების შინაარსის სწორად გაგებისათვის საჭიროთ მიმაჩნია გავაცნო მკითხველი აზრს და მისი ყოფა-ცხოვრების ისტორიას.

აზრი, ბატონებო, მეტათ ლამაზი და მომჯადოებელი სულიერი ფრინველია: მას მეტათ ფართე და ჭრელი ფრთები ასხია. მისი მოკაუჭებული ალმასის მსგავსი ნისკარტი თითქოს ფოლადიდანაა გამონაჭედი. ის ამავე დროს მეტათ მოძრავი, სწრაფი და ძლიერია. მისი ერთი ფრთის გაქნევა კლდეს ანგრევს, მისი სიმალე ცის გუმბათიდან მონაწყვეტ მეტეორის სრბოლას აღემატება... აზრის საყვარელი საცხოვრებელი ბინა კი ადამიანის თავია... მაგრამ მის წარმოშობის შესახებ მეცნიერები სამწუხაროთ ჯერაც ვერ დასდგომიან ერთ აზრს ამის შესახებ მრავალი შეხლა-შემოხლა და სხვადასხვა მიმართულება არსებობს. ერთი ამბობს: აზრი ცაში დაიბადა, ის რაღაც უხილავმა ძალამ წარმოშვა, შემდეგ აზრს ცაში ყოფნა მოსწყინდა, ციდან გადმოფრინდა და ადამიანის თავში დაბუდდაო. მეორე ამბობს: არა, აზრი ცაში კი არ დაბადებულა, ან ის რაღაც უხილავ ძალას კი არ წარმოუშვია, არამედ ის აქ მიწაზე დაიბადა და მისი წარმომშობი ძალა თვით ადამიანის მოთხოვნილება და საჭიროება იყოო. მესამე კიდევ ვინ იცის რას ამბობს და მეოთხე კიდევ რას. ერთი სიტყვით სრული ქაოსი მეფობს და ამ ქაოსიდან ნათელი გზის გამორჩევა თვით მკითხველისთვის მიმინდვია. მხოლოდ ერთი კი აშკარაა, ყოველ ახალგაზდა ჯანსაღ აზრს დიდებულ ადამიანთა თავებში უყვარს ხტომა-ნავარდი და ბუდის კეთება. მთელ თავის სიახალგაზდეს და სივაჟკაცეს ეს უცნაური ფრინველი ამ ადამიანთა თავებში ატარებსო... მაგრამ ხომ იცით, მკითხველო, „ყველაფერი მოძრაობს, ყველაფერი იცვლება“. ულმობელი დრო აზრსაც ასვამს თავის დაღს, ისიც ხუცდება, ბერდება, ჩაჩანაკდება, ნისკარტი უბლაგვდება და ფრთები უცვთება. ამავე დროს მათი მასპინძლებიადამიანები დიდ უმადურობას იჩენენ მათდამი. შეამჩნევენ თუ არა სიბერეს, მაშინვე პანჩურს ამოჭკრავენ და თავის ფანჯრიდან ყირამალა გადმოუძახებენ ძირს. საბრალო აზრი! ამ ღღიდან იწყება მისი ნამდვილი ტანჯვა! წიწილასავით აბუზული და ფრთებ ჩამოყრილი დაყიალობს ის ქვეყნათ, სანამ ბოლოს ვინმე გულ მოწყალე პატარა ადამიანი არ გადაეურება, არ შეიბრალებს და ბინას არ მისცემს თავის მყუდრო და ცარიელ თავში. ამიერიდან ცხოვრობს აზრი ამ ადამიანის თავში და იქ ატარებს თავის უკანასკნელ სიცოცხლის ღღეებს სანამ სიკვდილი არ მოუსწრებს და თქვენს ჭირს არ წაიღებს. ახლა მე მგონია თქვენთვის საკმაოთ გასაგებია თუ რას ნიშნავს „აზრი ფრთა გაცვეთილი“.

***) დერგუცა—ქვევრის მომცრო, მუცელ წამობერილი თიხის ჭურჭელია. გურიაში განსაკუთრებით ყველს ინახავენ შიგ.

****) გამოჩენილი ესტეტიკოს-კრიტიკოსების წყალობით ჯერ-ჯერობით ოთხი ჯიშის მუზაა აღმოჩენილი. ჯიში პირველი—დაფრენს ცაში, პირზე მუდამ ღიმილი უკრთის, უყვარს მზის სხივებში ბა-

ნაობა და მთავარის მკრთალ შუქზე ოცნება. ჯიში მეორე—სცხოვრობს ზღვაში, მეტათ მელანხოლიკია, უყვარს მზის ჩასვლისას ზღვის პირზე ამოსვლა და ქვითინის მზგავსი სიმღერა. ჯიში მესამე—მიწაზე დახოხავს, ტლაპოში ბანაობს, ხან იცინის და ხან ტირის. ჯიში მეოთხე—არც ცაში ფრენა შეუძლია, არც ზღვაში ცურვა და არც მიწაზე ხოხვა. სხვა ამ უკანასკნელის შესახებ არაფერი იციან ჯერჯერობით. როგორც მკითხველი შეამჩნევს ზემოხსენებული მუზა ამ მეოთხე კატეგორიას უნდა ეკუთვნოდეს. ყოველ შემთხვევაში, ვისაც სურს ამის შესახებ დაწვრილებით ცნობები, იხილოს ჩემი მომავალი კაპიტალური ნაშრომის მეხუთე ტომი: „მუზათა გონივრული მოვლა-მოშენება“. გამოც. 1920 წ. ქ. თფილისში.

პ—ტა.

ფოთი და ფფოთი

(„ფრანგულათ“ წაკითხული ნ. ჩხიკვაძის სალიტერატურო დილაზე ფოთში)

შფოთი, შუღლი, ბრძოლა, დავა,
ფოთმა რომ ვერ მოათავა,
არსებისას ეძებს პურსა...
მშიერ კუჭის სამსახურსა
აბა ვინ არ დაუღალავს?
თუ მეპურე პურს კი მალავს
და პატრონსა სანოვაგე—
კრიჭე კბილი, კნიტე ბაგე.

—

შეხვალ ფქვილის საწყობებში,
(ამ ხელოვნურ პურის მთებში),
და შიმშილით გეწვის კუჭი,
ყველა შრომა არის ფუჭი,
ცალი ფქვილის შესაძენათ
ღირსი თუ ხარ, ან რამდენათ,
(ეს იმაზე შეგეტყობა
მაპანკალი ვინ მიგყობა,
თუა საქმის მცოდნე პირი,
დაიძლევა გასაჭირი),
გიჩვენებენ პურის მეფეს,
ამ ფარცუმს, თუ ხაიმ-სეფეს,
გამოგკითხვენ, ვისთვის გინდა,
ჩარჩ-ბაცაცა თუ ხარ წმინდა,
თუ არ მისცემ ხალხის დუქანს,
თუ შეგხედეს მსხვილს და მსუქანს
და არც ითხოვ ნაყიდობას,
გიცხადებენ მაშინ ნდობას!..

—

იქნებ ხალხმა მოგაგზავნა,
(და ეს ვინმემ გაგამჟღავნა),
ნუღარ ფიქრობ პურის შოვნას,
არვინ იღებს არც შენს თხოვნას,
მაშინ „პური სხვაგან მიდის,
მას მთავრობა აღარ ჰყიდის“.

—

ფოთი არჩენს მთელ ჩვენს მხარეს,
ჩვენზე მშიერს და მწუხარეს
სხვაგან კიდევ ველარ ნახავთ,
მუდამ ვებრძვით, ვედავებით
ზოგი ძალით, ზოგი ნებით,
მარა საქმე საქმეთ მიდის,
ფქვილს პატრონი კი არ ჰყიდის,
ჰყიდის მეცხრე პარაზიტი
და პატრონი, როგორც გვრიტი
უცოდველი, უშიშარი,
დაუღია სახლის კარი
თვით უკეთეს სასტუმროში,
ხალხს თუ ქონდა ორი გროში,
მის უძიროს ავსებს ჯიბეს,
ცაზე ადგამს ოქროს კიბეს,
(უფლის ნახვა თუ კი სურდეს,
არქვას, ხალხი რათ გაქურდეს).

—

ჩვენ კი ისევ მივეშველოთ
ხალხის დუქანს, ხალხის ფურნეს,
სამკვდროთ უნდა შეებრძოლოთ
მის ორგულს და ავ-მოსურნეს.
იქნებ ამან მოგვაშველოს
შაქარი და პურის ყუა,—
გაუმარჯოს ხალხის დუქანს,
სხვა ვაჭრები ყველა სტყუა!

ბუტუნა.

გურული სცენა

გინდა მგელს დუუჭამეთვარ და გინდა მგლისფერ ძაღლს.

დეიწყო ვაინი
თუ არა და მას მერე მე და ნესტორე სულ ცეცხლ
და თაკორაში ვართ; გამოგვიცხადეს თუ არა, — უნ-
და წახვიდეთო, მაშვინათე წევედით, მივატიეთ, ცო-
ლი, ბაღნები, ყანა, ოჯახი და ყოლიფერი, ისე კი
არ გვიქნია, ვინცხა ვინცხები რომ იკუნჩხება-იმა-
ლება ღობის ძირში. ღმერთმა სასწაულ ქნა, რაც
ტყვია და ყუმბრები გამეისროლა ასრიელებმა და
გერმანელებმა, ყველა თავზე გადაგვაფრინდა, ყვე-
ლას გუუძელით; ბოლოს მოგვცეს ცოტა ოტპუსკი
და შინ ჩამევედი; დავრჩით ცოტა ხანს და მერე
გამოვცხადდით გაგვშინჯეს და ქე მიგ-
ვიღეს. გვკითხეს: საით გირჩონიათ წასვლა, რო-
მელ ფრონტზეო. ვუთხარი ნესტორს: "ბიჭო, მო-
დი, შევეხვეწოთ, აქანაი, დაგვტოვონ ცოტა ხანს,
აქანაი, — ჩვენი
მეზობელი — როტნის კომანდერეთ, იგი კარგათ მო-
გვეპყრობა,
კარგიო. გოუხარდა ნესტორს, მაი კაი გიფიქრიაო,
დეველრიქეთ, შევეხვეწეთ ვოინსკი ნაჩალიქს, დაგ-
ტოვეთ აქანაი, პაწა ხანს თქვა... ააშენა ღმერთმა,
ქე დაგვტოვა პოლკში. ცაზე მიგვისტვა
ხელი სიხარულით... მივედით, ვიფიქრეთ, ჩვენი კა-
ცია, გუუხარდება ჩვენი მისვლა მეთქი. გუუკეთეთ
ჩესტი და მერე ხელის ჩამორთმოვა მევინდომეთ...
„სმიირნა!.. ნე სმეიტო" გვითხრა. მინავათ ვაში
ბლაღაროდია თქვა უთხარით და გამოვბრუნდით
უკან. ნესტორმა მითხრა, ბიჭო, რაჟდენა, მაგი იმი-
ტომ არ ჩამოგვართვა ხელი, რომ კანონის ზაკონით
იქნება ალბათო... სხვაფერ მოგვექცეს კარგათ და
მაგი აფერია მეთქინ ვუთხარი... ვიკითხეთ პოლ-
კში, რანაირია აი ჩვენი უფროსი თქვა. ნულარ
გვკითხავ, მაგი ტრუ-
ბაში აძვრენს ყველასო, ყოლიფერი კაი აგიხთათ,

ჩვენ აგვისრულდა ჩვენი ამხანაგეშის სიტყვა. ყველა უბრალო რამეზე ნაკაზანიას გვაძლევდა, სულ „ბოდ რუჟიომ“ ვართ; დღე და ღამე ქე ვართ ჭკუასელის მოზვერსავით დაყუდებული, ჩამოვწყდით ფეხებზე; რას იზამ, კი ვეფერ საყვედურს ეტყვით ამიზა, ვაინია, ჩვენ სალდათები ვართ, დისციპლინა არის, მარა მე იმაზე მტკივა გული, რომ ჩვენი კაცი არის, მეზობელი, თვარა ისე რას ვ?ივი. გამიძაღლდა სიცოცხლე, ყველგან ტყავი გაგვძვრა, რაღაი აქანე შევიკლა თავი, ქე მაინც წავალთ პოზიციაზე, იქინე ისე არ მოვკტები, რომ ერთი ვინცხა არ მოვკლა, აქანე ტყულათაი ვიხრჩვები კაცი... ხვალ თუ, ზეგ შევაყოლებთ პოზიციაზე, რაც იქნება იქნება.

ზიფლიფონცქეს ბიჟი.

იმერული სცენა

ნაცრით წამლობა

ისე ღმერთი უშველის ჩვენი ყაფლამას ოჯახს, რავარც იმან სამუდამოთ გამოუთხარა ძირი ჩემსას ღვინის მოსავალს. წროულს გევიხედე კაცო და... მიძახის ჩვენი ყაფლამა:

— ბიჟო მოდი აქ, მოდი აქო: მეც მივედი. მითხრა:

— ბიჟო შენ წროულს შაბიაბანი ხომ არ გაქ?

— არა თქვა, ვუთხარი.

— აბა იცი რა გითხრა?; — ეჰ რაღა რა გითხრა შეუგნებელობაც ამას ჰქვია! წამალი ჩვენ ხელში კეთდება და ჩვენ დაგვიღია პირი და სხვას მივჩერებივართ;

— რა არის, კაცო, მაგისთანა?

— შე კაცო, არ იცი ახლა შენ?

— არ ვიცი, როგორც კაცი!

— ჰმ, აფერი წამალი არ ჯობნებულა თურმე ნაცარს!

— რავარ ნაცარს, კაცო?

— რავარ ნაცარს, და ცეცხლის ნაცარს!

— მართლა ამბობ ბიჟო შენ მაგას?

— მართლა, როგორც კაცი! —

— მერე თუ კაცი ხარ რავა უნდა უწამლო?

— აი რავა: ეიღე საბერველი მაშინა, ჩაყარე შით ნაცარი, დაუბერე ტევნებზე და მორჩა! აღარც შაბიაბანი უნდა და აღარც თეთრი აბანი!

— მეც დავიჯერე და შევაყარე... დადგა შემოდგომა გევიარე ჩემ ნამყენ ვენახში, მივაცქერდი ყურძენს... დევინახე მარა რა დევინახე! რაც მე ნაცარი მივაყარე, სულ ზედ აქ მიგლესილი წვიმისაგან ისე რომ ერთი კვირა ხეხო ერთ ფინჩხას ვერ მოაფხეკ!

დამწიფდა ყურძენი, და მოვკრიფე კიდეც მარა გამოვიდა: ღვინის მაგიერათ გამოვწურე რაცხა, არც ღვინო, არც ტალახი! რა უნდა მექნა... მოვხსენი ჩემ ოთხსჩაფიან ქვევრს თავი და მუუშვი იმიან ამიანა შით, იქნება დეილეჭოს თქვა. გაუკეთე სასულე მივაყარე აყალო მიწა და გაუშვი.

გევიდა ერთი კვირა, მოვხადე ჩემი ოთხჩაფიანი და ვტუცე შით ორშიმო, ამევიღე, ვნახე... ფერი ისევე ისე ქონდა, ახლა ვნახე გემოთ მარა რავნახე! ნამდვილი ნაცარ ტუტა!

გამიფუჭდა მოსავალი. კი გამიგონია: „ნაცარ ტუტა გაგიჩნდა ოჯახშიო“ მარა ასე თუ ჩთებოდა აგი აღარ მეგონა.

ქვაშაველი

ნერილი ნაოღალევიდან

ბატონ ეშმაკსა სალამი!
(სალამიც ერთი ვალია).
მოვდივართ თხოვნით: ჩვენსკენაც
მოეპყროს თქვენი თვალია!
არავინ იღებს ჩვენზედ ხმას,
ამიტომ გვტკივა გულია,—
სახედ გვყავს ნაოღალევი
მრავალჯერ წამებულია.
სიდან დავიწყო არ ვიცი,
რას ვარგო პირველ რიგია...
თან გვმართებს ცოტა სიფრთხილეც
არ გვესმას „ბრიგი-ბრიგია“.

დავიწყოთ თუნდაც ხალხითა,
რომელიც დაცემულია;
სდუმს სიმწრით, იკვნეტს ტუჩებსა,
ძლივს უცემს მაჯა-გულია.
აიმღვრა სიღრმე ცხოვრების,
შეინძრა ძალთა ძალია,
და ნაძირალთაც დრო ნახეს,
მათ გაუბრწყინდათ თვალია.
ცალ-ცალკე თითო აღვნუსხო
ვერ აუვიდე წერითა?
მოწმად ხომ ისიც მეყოფა,
რომ ცა სტირს მიწის მზერითა.

—

თვით დაბა ნაოღალევი?
თქვენს მტერს ისეთი ენახოს!
და კაცი-პირველ მიზეზი
მაგისი, ღმერთმა დალახვროს!
ზურგ ანაწვავსა პოგრომით
დღესაც კი ბოლი აუდის;
მშობელი ტდილობს აღდგენას,
მაგრამ ვეღარ-რა გაუდის.
აქა-იქ თუ კი რამ არის,
ფასი მთლად ზეცად აუდის.
,,უჩასტკის'' ხელი ძირსა სწევს
და ხშირად ჯიბეთ ჩაუდის.
კარგი ხანია არსებობს
აქ დუქან კოპერაცია,
მაგრამ სახელის მაგვარი
მას არაფერი აცხია.
სამაგიეროთ რა გინდა,
რომ არ ხდებოდეს ბაზარში:
კარტოჟნიკობა და ჩხუბი,—
ქეიფი წუმპე-ნაგავში.
ხომ ფოსტაც დაბას ეკუთვნის,
მისი უფროსი ერთია,
შამოსულ ხალხთან მოუბედო
და უმცროსებთან ღმერთია.
დაბას ეკუთვნის „ბალნიცაც",
მასაც შავი დღე სწვევია:
ძველი „დოხტური" წასულა,
ახალი აღარ წვევია.
თუმც არის კიდეც ახალი,
მაგრამ ის განზე გამდგარა
და „სოფლის ფერშალთ" ხელშია
„ბალნიცა" იგი წამხდარა.
მანდ გიორგია უფროსი,—
„ექიმად" ის ნაქებია,
და ვინ რა იცის: მისს ცოდნას
ხავსი თუ მოჰკიდებია.
მანდვე არს მანდილოსანი,
თავზე წაუკრავს „მანტია";
და ჩასუქებულ ბეჭებზე
„თუმნების" კვალი ატყვია.
ქართული „სრულად არ იცის",
„ქაცო"-ს ღა იტყვის მხოლოდა;
თუმცა გვარი აქვს ქართული,
რუსი ქმარი თუ ჰყოლოდა.
(მაგრამ ქართულის არ ცოდნა
ეს ხომ საერთო სენია,
მოსწავლე-მასწავლებელთგან
მხოლოდ რუსული გვსმენია).
საქმიანობა დღეს გვმართებს:
დღეს გვადგას გასაჭირია;
მაგრამ ვერ ვხედავთ მოსაქმეს,—
ეგ არის ასატირია!
კიდევ ბევრი გვაქვს სათქმელი
სამომავლისო დღისაო,
ნაქნარი ბნელი ღამისა
და ხვედრი ნათელ დღისაო.
მაგრამ სხვა იყოს მერმისთვის
და ან ადვილი როდია:
მთლათ ამათ დასურხატებას
ვერც კი აუვა გოგია.

ბ—ი.

ლეპეშეგი

(ბუტუნას სააგენტო)

ფოთი გურიაში სასულიერო საქმეების საძიებლათ წასული ბ-ნი **მხიფაგი** იტყობინება— ,,**ძველ მამასახლისთა ბიუროს**'' შემთხვევით აღმოჩენაზე. ,,ხსენებულ ბიუროს'' მიზნათ აქვს თურმე ახალი არჩევნები ჩაშალოს და ოცისთავებს საშუალება წაართვას ახალი მამასახლისების არჩევისა. პირველათ უნდა დაიხსნას ,,ბიუროს'' ლანჩხუთისა და

ძიმითის საზოგადოებანი ამ ოცის-თავთა „პუნტოვ-ჩიკობიდან''.

—

ფოთის ქალაქის თვითმართველობამ კერძო „სოვეშჩანიეზე" დაადგინა ბ ნი ტყემალაძის ხელახალი არჩევა, მარა ოფიციალურ ხმოსანთა კრებაზე **მოულოდნელათ** გადაიდვა არჩევნები. ბოროტი ენები ამბობენ ეს გადადება ტყემალაძის გაშავებას ნიშნავსო, ხოლო ამ ეჭვებს აძლიერებს ტყემალაძისაგან ამ მოვლენის შემდეგ „ოტსტავკის"*) შეტანა თვითმართველობაში. მოსალოდნელია ბევრი ახალი რამ, მარა ყოველ შემთხვევაში კარგი არაფერი.

ქ-ნი „როკაპი" იტყობინება მრავალი მისალოცი დეპეშების მიღებას „ფოთელ ქალთა საზოგადოების" დაარსების გამო, მარა საპასუხო მადლობის გამოცხადება „როკაპს" გადაუდვია სანამ პირადათ დაათვალიერებდეს დანიშნულ „ქალთა საზოგადოების" საქმეებს, რაც ამ მოკლე ხანში უნდა მოხდეს.

—

შეკითხვა ეშმაკს

ბალახანა. მოეხსენება თუ არა ბ. ეშმაკს, რომ ჩვენ აქაური ქართველები, არც კი ვოცნებობთ სახალხო სახლზე; არ მოგვეძევება არც საბავშო ბაღი, არც სკოლა; თითქმის არც კი ვიცით რას ჰქვიან წარმოდგენა. რომ ჩვენ არ ვიცით რიცხვი ჩვენი მატულობს თუ კლებულობს და რომ ჩვენ არც კი გვსურს...

ჰო, შემდეგშიაც ასე ყოფნა. მაგრამ მდგომარეობის გასაუმჯობესებლათ 99⁷/₈% ყურს მაინც არ ვიბერტყავთ. და თუ ყველა ეს მოეხსენება, რა ზომის მიღებას აპირობს რომ ასე არ გაგრძელდეს და როდის? და ვართ თუ არა ჩვენ უკვე კულტურულ ხალხთა სიაში მოკალათებული, თუ ჩვენთვისაც საჭიროა ეგზამენი ისე, როგორც ერთი ბიუროკრატის სიტყვით, ერთს ქალაქში მცხოვრებ სართებს ესაჭიროება თურმე?*)

დია.

—

გამოცანა

(სუფსისათვის)

თქვენც გინახავთ: ტან-დაბალი,
წელ-წერწეტი, ბეჭებ—ფართე,
ულვაშ-წაცქვიტინებული,
ენატკბილათ მოკამათე.

—

მისი საოცნებო გახლავთ
დრო წასული, ძველის-ძველი,
განახლების ორგულია
და ქურდების მედგარ-მცველი.

—

სამართალი თუ დასჭირდა,
ხმალ-ხანჯლისკენ მიაქვს ხელი,
და ბაზრისა მყრალი ქუჩა
მისი არის ბრძოლის ველი.

—

ამ ოცნებით დროს ატარებს
სიტყვით ჩქარი, საქმით ნელი
გაკეთებას სხვისგან ელის
ახალ მოდის „ლამანჩელი".

გამოცანა.

—

*) ოტსტავკა—ჩვენი თანაგრძნობის დარჩენას უნდანი აშნავდეს.

*) პასუხი გადაეცა კომისიას.

ეშმაკი.

მიიღება ხელისმოწერა 1916 წლისათვის

ყოველ-კვირეული იუმორისტიული გამოცემა

ეშმაკის მათრახ

ჟურნალის სამხატვრო და სალიტერატურო მხარეს განაგებს ეშმაკი,
ხოლო გამოცემის საქმეს კანტორა „განათლება“

ჟურნალის ფასი: 12 თვით 6 მ. —
6 თვით 3 მ. 50 კ.
3 თვით 1 მ. 80 კ.
1 თვით — 60 კ.

ეშმაკის მათრახში დაიბეჭდება მხოლოდ იუმორისტული შინაარსის წერილები, ლექსები, მოთხრობები, ზღაპრები, არაკები, შარადები, გამოცანები, ნაკვესებიდა სხვა.

რედაქცია სთხოვს ყველა თანამშრომლებს მასალები გამოგზავნონ ამ ადრესით:

Тифлисъ *)

С. Р. Таварткиладзе,
Ольгинская 6,
Почтовый ящикъ № 96
(ეშმაკის მათრახისათვის)

*) ეს ადგილი კონვერტზე მარკისათვის არის დანიშნული და გულმავიწყებს მოვაგონებთ, რომ უმარკო წერილებს რედაქცია არ დაიხსნის.

რედაქტორ-გამომც. თ. ბოლქვაძე. ნებადართულია სამხ. ცენზორისაგან. სტამბა ვ. რუხაძისა, გაბაშვილის შესახვ.,